



## ეკონომიკა

**ეკონომიკური ზრდა:** საქსტატის წინასწარი მონაცემებით, 2021 წლის ნოემბერში საქართველოს რეალური მშპ-ის წლიური ზრდის ტემპი 12.0%-მდე დაჩქარდა წინა თვის 6.9%-იანი ზრდის შემდეგ. ამასთან, რეალური მშპ 3.4%-ით არის გაზრდილი 2019 წლის ნოემბერთან შედარებით. ნოემბერში ზრდა დაფიქსირდა დამამუშავებელი მრეწველობის, ტრანსპორტის, ხელოვნება, გართობა, დასვენების, ვაჭრობის, სასტუმროები და რესტორნების და საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობის დარგებში. ამასთან, კლებას ჰქონდა ადგილი მშენებლობის დარგში. ჯამურად, 2021 წლის პირველ 11 თვეში, საქართველოს ეკონომიკა 10.7%-ით გაიზარდა (+3.7% 2019 წლის პირველ 11 თვესთან შედარებით).

**საბანკო სექტორი:** კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების მოცულობა 2021 წლის ნოემბერში წლიურად 10.8%-ით გაიზარდა (-0.7% თ/თ) და 41.4 მლრდ ლარი შეადგინა. ამასთან, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, სესხების პორტფელის წლიურმა ზრდამ ნოემბერში 16.4% შეადგინა (+1.2% თ/თ). სექტორების მიხედვით, ნოემბერში კორპორატიული დაკრედიტების წლიური ზრდა მცირედით 16.2%-მდე შენედა, წინა თვის 16.5%-იანი ზრდის შემდეგ, ხოლო საცალო დაკრედიტების ზრდა 16.7%-მდე დაჩქარდა (კურსის ეფექტის გამორიცხვით) წინა თვის 15.7%-იანი ზრდის შემდეგ. 2021 წლის ნოემბერში სესხების დოლარიზაცია 50.3%-მდე შემცირდა (-5.75პპ წ/წ და -0.99პპ თ/თ), ხოლო უმოქმედო სესხები 2.2%-ს გაუტოლდა (უცვლელი წ/წ და +0.06პპ თ/თ).

საბანკო სექტორში განთავსებული დეპოზიტების წლიური ზრდა 2021 წლის ნოემბერში 11.8%-მდე შენედა წინა თვეში დაფიქსირებული 14.2%-იანი ზრდის შემდეგ გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით და 35.7 მლრდ ლარი შეადგინა. ვალუტების მიხედვით, ლარის დეპოზიტების წლიური ზრდა 10.5% იყო, ხოლო უცხოური ვალუტის დეპოზიტების ზრდამ 12.6% შეადგინა. ამასთან, ნოემბერში დეპოზიტების დოლარიზაციამ 60.5% შეადგინა (-1.47პპ წ/წ და -0.29პპ თ/თ).


**მიმდინარე ანგარიში:** სებ-ის მიხედვით, 2021 წლის მე-3 კვარტალში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი წლიურად 35.5%-ით შემცირდა და მშპ-ის 7.2% შეადგინა (მშპ-ის 13.2% იყო 2020 წლის მე-3 კვარტალში). მიმდინარე ანგარიშის ბალანსის გაუმჯობესება ძირითადად განაპირობა მომსახურების ბალანსის გაუმჯობესებამ, რასაც ტურიზმის სექტორის აღდგენამ შეუწყო ხელი (ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა 566.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა 2021 წლის მე-3 კვარტალში, რაც 2019 წლის მე-3 კვარტალის 50.2%-ია), და ტრანსფერტების ზრდამ (+22.7% წ/წ, მშპ-ის 11.3%). ამასთან, საქონლით ვაჭრობის დეფიციტი 29.7%-ით გაიზარდა 1.0 მლრდ აშშ დოლარამდე, რადგან საქონლის ექსპორტი 23.1%-ით, ხოლო იმპორტი 25.8%-ით გაიზარდა. მე-3 კვარტალში, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების მნიშვნელოვანი წყარო სხვა ინვესტიციები იყო, რომელმაც 477.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (მშპ-ის 9.3%). ამასთან, წმინდა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 216.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მშპ-ის 4.2%-ია. ჯამურად, 2021 წლის პირველ 9 თვეში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა მშპ-ს 9.7% შეადგინა (12.1% იყო 2020 წლის პირველ 9 თვეში).

### ეკონომიკური ინდიკატორები

	2019	2020
რეალური მშპ-ს ზრდა	5.0%	-6.8%
მშპ ერთ სულზე (ppp)	15,613	14,918
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	4,696	4,256
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	7.0%	2.4%
საერთ. რეზერვები (მლრდ აშშ \$)	3.5	3.9
მიმდ. ანგარ. დეფიციტი (მშპ-ს %)	5.5%	12.4%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	2.1%	9.3%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	40.4%	60.2%
Fitch/S&P/Moody's*	BB/BB/Ba2	

წყარო: ოფიციალური მონაცემები, სარეიტინგო სააგენტოები  
\*უახლესი საკრედიტო რეიტინგები


### რეალური მშპ-ის ზრდა, წინა წელთან და 2019 წელთან შედარებით



იან თებ მარ აპრ მაი ივნ ივლ აგვ სექ ოქტ ნოე  
—●— რეალური მშპ-ის ზრდა, 2021 vs. 2020  
—●— რეალური მშპ-ის ზრდა, 2021 vs. 2019

წყარო: საქსტატი, გალტი & თაგარტი

### საბანკო სესხების ზრდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: სებ



# ფულადი ბაზარი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბენჩმარკ ობლიგაციები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2021 წლის 28 დეკემბერს 5-წლიანი 85.0 მლნ ლარის (27.6 მლნ აშშ დოლარი) ოდენობის ბენჩმარკ ობლიგაციები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა დაახ. 2.0-ჯერ მაღალი იყო და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით, რომელიც 2021 წლის ნოემბერში გაიმართა, 0.7113პ-ით გაიზარდა და 9.865% შეადგინა.


უახლოესი აუქციონი დაგეგმილია 2021 წლის 4 იანვარს, სადაც 6-თვიანი 20 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები და 2-წლიანი 70 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების ბენჩმარკ ობლიგაციები გაიყიდება.

სახაზინო ფასიანი ქაღალდები, 2022 წელი

ვალიანობა	გამომგება წლის დასაწყისიდან მლნ ლარი	დარჩენილი გამომგება მლნ ლარი	დარჩენილი ვალდებულება
6-თვე	0	240	100
1-წელი	0	390	215
2-წელი	0	960	1,080
5-წელი	0	1,080	2,624
10-წელი	0	100	1,331
<b>სულ</b>	<b>0</b>	<b>2,770</b>	<b>5,350</b>


წყარო: ფინანსთა სამინისტრო

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სებ

განხორციელებული ემისია და მოთხოვნა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბოლო აუქციონებზე, მლნ ლარი




წყარო: სებ

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წლიური ინფლაცია და ლარის გაცვლითი კურსი



წყარო: სებ, საქსტატი

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სებ  
შენიშვნა: ინდექსის ზრდა/კლება ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას/გაუფასურებას




## ობლიგაციები

**კორპორატიული ვერობლიგაციები:** საქართველოს ბანკის ჯგუფის ვერობლიგაცია (GEBGG) დაიხურა 2.13%-იანი შემოსავლიანობით, ფასით 105.92 (-0.11% წინა კვირასთან შედარებით). საქართველოს კაპიტალის ვერობლიგაციებით (GEOCAP) ვაჭრობა დაიხურა ფასით 102.32 (-0.33% წინა კვირასთან შედარებით), 4.98%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს რკინიგზის ვერობლიგაცია (GRAIL) ივაჭრებოდა 100.52 ფასად (+0.04% წინა კვირასთან შედარებით), 3.91%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს სუვერენული ვერობლიგაცია (GEORG) დაიხურა ფასით 99.76 (+0.14% წინა კვირასთან შედარებით), 2.81%-იანი შემოსავლიანობით.

ვერობლიგაციები (შემოსავლიანობა)



წყარო: Bloomberg

### ქართული ობლიგაციების ძირითადი მონაცემები

გამომწვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
GEORG 04/26	USD	500	2.750%	Apr-26	BB/BB/Ba2	99.76	2.81	173.43
GRAIL 06/28	USD	500	4.000%	Jun-28	BB-/B+/-	100.52	3.91	273.23
GEBGG 07/23	USD	350	6.000%	Jul-23	BB-/B/Ba2	105.92	2.13	153.11
GEBGG 11 1/8 PERP	USD	100	11.125%	n/a	B-/B-	110.73	9.29	554.79
GEOCAP 03/24	USD	300	6.125%	Mar-24	-/B/B2	102.32	4.98	420.61
SILKNET 04/24	USD	200	11.000%	Apr-24	B-/B1	107.54	7.29	233.51
TBC 06/24	USD	300	5.750%	Jun-24	BB-/B/Ba2	105.28	3.49	264.64
TBC PERP	USD	125	10.775%	n/a	B-/B-	109.83	9.61	590.39
GGU 07/25	USD	250	7.750%	Jul-25	B+/B/-	106.20	5.80	325.15

### ადგილობრივი ობლიგაციები


KTW 12/22	USD	10	9.00%	Dec-22	-/-/-	n/a	n/a	n/a
Nikora Trade	GEL	35	13.50%	Nov-24	-/-/-	n/a	n/a	n/a
M2RE 10/22	USD	35	7.50%	Oct-22	-/-/-	100.43	7.20	n/a
GLC 08/22	USD	10	7.50%	Aug-22	-/-/-	n/a	n/a	n/a
GLC 07/23	USD	12	5.75%	Jul-23	-/-/-	n/a	n/a	n/a
GLC 07/23	EUR	3	4.75%	Jul-23	-/-/-	n/a	n/a	n/a
SILKNET 04/24	GEL	34	12.50%	Apr-24	B+/-/B1/-	n/a	n/a	n/a
Geo. Beer Company	GEL	25	13.00%	Dec-23	-/-/-/BB-	n/a	n/a	n/a
Tegeta 04/22	GEL	30	10.75%	Apr-22	-/-/-/BB-	n/a	n/a	n/a
EVEX 11/24	GEL	50	12.10%	Nov-24	-/-/-/BB	n/a	n/a	n/a

წყარო: Bloomberg



# აქციები


## საქართველოს ბანკის ჯგუფი (BGEO LN)



წყარო: Bloomberg

საქართველოს ბანკის ჯგუფის (BGEO LN) აქციები დაიხურა 16.68 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +8.45% წინა კვირასთან შედარებით და +8.17% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 147 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 15.48 - 16.68 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 87 ათასი აქცია შეადგინა.


## თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)



წყარო: Bloomberg

თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN) აქციები დაიხურა 16.50 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +2.23% წინა კვირასთან შედარებით და +6.04% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 102 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 16.16 - 16.60 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 36 ათასი აქცია შეადგინა.

## საქართველოს კაპიტალი (CGEO LN)



წყარო: Bloomberg

Georgia Capital-ის (CGEO LN) აქციები დაიხურა 7.13 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +12.28% წინა კვირასთან შედარებით და +11.76% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 262 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 6.35 - 7.16 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 77 ათასი აქცია შეადგინა.



## აქციები

### აღმოსავლეთ ევროპის ბანკები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ. მლნ	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას. ცვლ.	P/E		P/B	
								2021F	2022F	2021F	2022F
Bank of Georgia	BGEO	GBP	16.68	820	24.1%	36.7%	36.7%	4.91x	5.17x	1.09x	1.00x
TBC	TBC	GBP	16.50	910	42.2%	32.0%	32.0%	5.41x	5.21x	1.08x	0.94x
Halyk Bank	HSBK	US\$	16.05	86,618	-3.3%	10.5%	10.5%	5.38x	5.21x	1.12x	1.01x
Sberbank	SBER	USD	16.50	4,849	6.5%	41.6%	41.6%	4.76x	4.56x	1.22x	1.10x
VTB Bank	VTBR	US\$	1.26	8,165	-5.3%	32.0%	32.0%	2.37x	2.44x	0.38x	0.35x
Akbank	AKBNK	TRY	7.34	38,168	39.0%	5.9%	5.9%	3.91x	3.13x	0.52x	0.45x
Garanti	GARAN	TRY	11.34	47,628	36.6%	9.4%	9.4%	3.78x	3.21x	0.63x	0.54x
Isbank	ISCTR	TRY	7.35	33,075	44.1%	5.0%	5.0%	3.39x	2.53x	0.43x	0.37x
PKO	PKO	PLN	44.93	56,163	18.8%	56.4%	56.4%	11.73x	10.44x	1.31x	1.22x
PEKAO	PEO	PLN	122.00	32,021	31.2%	99.7%	99.7%	15.17x	11.99x	1.23x	1.16x
Millennium	MIL	PLN	8.20	9,941	75.9%	150.6%	150.6%	10.49x	11.79x	1.28x	1.17x
Mbank	MBK	PLN	433.20	18,354	33.3%	141.7%	141.7%	15.65x	13.11x	1.09x	1.01x
BRD	BRD	RON	17.70	12,335	1.1%	19.1%	19.1%	10.90x	10.13x	1.29x	1.30x
Banca Transilvania	TLV	RON	2.58	16,284	4.1%	26.1%	26.1%	8.71x	8.52x	1.49x	1.39x
OTP	OTPD	USD	22.00	12,320	0.0%	-3.5%	-3.5%	8.16x	7.43x	0.67x	0.58x
Komercni	KOMB	CZK	935.00	177,696	23.5%	42.3%	42.3%	14.64x	13.31x	1.44x	1.45x
<b>საშუალო</b>								<b>8.08x</b>	<b>7.39x</b>	<b>1.02x</b>	<b>0.94x</b>
<b>მედიანა</b>								<b>6.79x</b>	<b>6.32x</b>	<b>1.11x</b>	<b>1.01x</b>

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ

### ინვესტიციების მართვის შესადარი კომპანიები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ. მლნ	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას. ცვლ.	P/E		P/B	
								2021F	2022F	2021F	2022F
Georgia Capital	CGEO	GBP	7.13	339	-1.0%	32.0%	32.0%	na	na	na	na
Tinc Comm	TINC	EUR	13.42	488	7.4%	3.6%	3.6%	na	na	na	na
Sabancı Holding	SAHOL	TRY	13.18	26,893	48.3%	15.0%	15.0%	4.37x	3.44x	0.58x	0.48x
Deutsche Beteiligungs	DBAN	EUR	39.85	749	16.9%	27.9%	27.9%	4.08x	10.51x	1.07x	1.06x
Eurazeo	RF	EUR	76.50	6,061	4.1%	37.8%	37.8%	8.92x	10.01x	0.99x	0.90x
Carlyle Group	CG	USD	54.33	19,258	16.9%	72.8%	72.8%	13.28x	13.40x	5.53x	4.94x
<b>საშუალო</b>								<b>7.66x</b>	<b>9.34x</b>	<b>2.04x</b>	<b>1.84x</b>
<b>მედიანა</b>								<b>6.64x</b>	<b>10.26x</b>	<b>1.03x</b>	<b>0.98x</b>

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ



# მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტი ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოყენებისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტი ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტი ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამოწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტთან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განხილვოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარულის ან მომავლის მიმართ, გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტი ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტი ენდ თაგარტი არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამოწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტი ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამოწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტი ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევის, ამ დოკუმენტის სარგებლობისთვის მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტი ენდ თაგარტი და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირება უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

**გალტი ენდ თაგარტი**  
მისამართი: პუშკინის ქუჩა 3ა, თბილისი, 0105, საქართველო  
ტელ: + (995) 32 2401 111  
ელ. ფოსტა: researcht@gt.ge